

# ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვა და ენერგეტიკა - სისტემური გამოწვევები

შალვა ძეხისაშვილი

პოლიტიკის დოკუმენტი  
დეკემბერი, 2023





## პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემა #40 | დეკემბერი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინიციატივების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინიციატივებს პოლიტიკურ დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

*პუბლიკაცია მომზადებულია ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილებისა და თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანადაფინანსებით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების, თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.*

*ავტორი მადლობას უხდის UNDP-ის პროექტ Supporting the implementation process for the EU Clean Energy for all Europeans Package-ის ფარგლებში სტატიის მომზადების მხარდაჭერისთვის.*

### დოკუმენტის ციტირების წესი:

**შალვა ძეგისაშვილი**, “ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვა და ენერგეტიკა - სისტემური გამოწვევები” პოლიტიკის დოკუმენტი No.40, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2023.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2023

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ.: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

[www.gip.ge](http://www.gip.ge)

## ავტორის შესახებ

შალვა ძეგისაშვილი არის საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების ხელმძღვანელი. შალვა ძეგისაშვილმა ევროკომისიის სადოქტორო სტიპენდიის (GEM-EU Erasmus Mundus) ფარგლებში წარმატებით დაიცვა დისერტაცია 2016 წლის იანვარში და მიენიჭა სადოქტორო ხარისხი ბრიუსელის თავისუფალ და ბილეფელდის უნივერსიტეტებში. 2008-09 წლებში წარმატებით დაასრულა მაგისტრატურა აშშ-ს ეროვნულ თავდაცვის უნივერსიტეტში (NDU, ვაშინგტონი) სტრატეგიული უსაფრთხოების კვლევების სფეროში და მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის მრჩევლის პოზიციაზე ნატოს შტაბ-ბინაში (ბრიუსელი). 2003 წლიდან 2012 წლამდე და 2017 წლიდან 2019 წლის ივნისამდე ის მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის წამყვან პოზიციებზე. ის არის არაერთი კვლევითი ორგანიზაციის წევრი და მრავალი პუბლიკაციის ავტორი. ამჟამად შალვა ძეგისაშვილი მონაწილეობს ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო კოლაბორაციულ პროექტში "ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და სოციალური პრაქტიკები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში".

## გრაფების ჩამონათვალი:

**გრაფა 1.** საფრთხეების შეფასების პროცესი და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

**გრაფა 2.** მზადყოფნის/სამოქმედო და განვითარების გეგმები

**გრაფა 3.** რეაგირება სამხედრო და არასამხედრო კრიზისების დროს

**გრაფა 4.** ენერგეტიკის ადგილი სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში

## სარჩევი

მოკლე შინაარსი.....	5
შესავალი .....	6
ენერგოუსაფრთხოება -ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური გააზრება .....	7
ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის სისტემა და ენერგეტიკის მნიშვნელობა.....	9
ენერგეტიკა და ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვა კრიზისული ვითარების დროს ....	13
დასკვნები და რეკომენდაციები .....	21
გამოყენებული ლიტერატურა .....	25

## მოკლე შინაარსი

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი აანალიზებს საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ენერგოუსაფრთხოების საკითხის აქტუალობას და მის შესაბამის ასახვას ენერგეტიკის დაგეგმვისა და, ზოგადად, ქვეყნის უსაფრთხოების ანალიზის კონტექსტში. ნაშრომში საწყის ეტაპზე განხილულია ენერგოუსაფრთხოების კონცეპტუალური განვითარების პროცესი, მისი შინაარსობრივი ცვლილება და აქტუალობა დღევანდელი პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ ენერგეტიკის პოლიტიკა გამოკვლეულია გრძელვადიანი დაგეგმვისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტში. შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტში გაანალიზებულია ყველა მნიშვნელოვანი ეროვნული და უწყებრივი დონის დოკუმენტი, ისევე როგორც კრიზისებისა და საომარი ვითარების დროს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გამოწვევები. ამასთან ერთად, ნაშრომში მოყვანილია რიგი რელევანტური საერთაშორისო მაგალითებისა, რომლებიც ღირებულ ილუსტრაციას წარმოადგენენ ენერგოპოლიტიკისა და, კერძოდ, ენერგოუსაფრთხოების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით. სტატიის ბოლოს, მოყვანილია კონკრეტული რეკომენდაციები ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგოუსაფრთხოება; ენერგეტიკის პოლიტიკა; უსაფრთხოების სტრატეგია; კრიზისი

სახელმწიფოს უსაფრთხოების გაგება, მიუხედავად თავისი კომპლექსური შინაარსისა და მასთან დაკავშირებული განმარტებების სიმრავლისა, ორ პრინციპულ ელემენტს შეიცავს, რომელთა გათვალისწინების გარეშე უსაფრთხოების პოლიტიკა ვერ განისაზღვრება (შეიქმნება) და ვერც მისი ეფექტიანი განხორციელება მოხდება. ესაა სახელმწიფო დონეზე უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული (საშუალო და გრძელვადიანი) დაგეგმვის მექანიზმების არსებობა და როგორც დაგეგმვის დროს, ისე საკუთრივ განხორციელების და მონიტორინგის ეტაპზე, მჭიდრო უწყებათშორისი თანამშრომლობის ფორმატების და ინსტრუმენტების არსებობა (მუდმივი გამოყენება). ენერგეტიკის სფერო სახელმწიფოს ფუნქციონირების და სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია როგორც მშვიდობიანობის, ასევე, კრიზისებისა და, განსაკუთრებით, საომარი ვითარების დროს. მასზე არის პრაქტიკულად სრულიად დამოკიდებული ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის სფეროების ფუნქციონირება, როგორცაა ტრანსპორტი და მომარაგება, კომუნიკაციები, კერძო ბიზნესი და ა.შ. შესაბამისად, ენერგეტიკული სფეროს ინტეგრირება ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიულ დაგეგმვაში ბუნებრივ და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც, ერთი მხრივ, განაპირობებს ეროვნული ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, ფუნდამენტურად განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების/მდედგობის (Resilience) მაღალ ხარისხს.

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს, საქართველოს მაგალითზე მოხდეს ენერგეტიკის სფეროს და ენერგოუსაფრთხოების საკითხის გაანალიზება სწორედ ერთიანი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის და, შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის და ინსტიტუციური მექანიზმების (არ)არსებობის კონტექსტში. საქართველოს ტერიტორიული (და სხვა გაგებითაც) სიმცირის მიუხედავად, მისი სტრატეგიული განლაგება ევროპა-აზიის დამაკავშირებელ გეოგრაფიულ არეალში, ისევე როგორც გლობალური მოთამაშეების არსებული დიდი ეკონომიკური ინტერესი და განხორციელებული პროექტები (ენერგეტიკული და სატრანსპორტო) საგრძნობლად ზრდის ქვეყნის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას და დღის წესრიგში მეტად მწვავედ აყენებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების და, შესაბამისად, ამ განვითარების სტრატეგიის და დაგეგმვის მექანიზმების რუტინული გამოყენების აუცილებლობას. ენერგეტიკის სფეროს პირდაპირი და მჭიდრო კავშირის (ზეგავლენის) გამო სხვა სფეროებთან, როგორცაა ეკონომიკა, ტრანსპორტი/სატრანსპორტო და სხვა ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობა და სამხედრო თავდაცვისუნარიანობა, პრინციპულად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის როგორც ენერგოუსაფრთხოების სწორი კონცეპტუალური გააზრება (ქვეყნის განვითარების კონტექსტში), ასევე მისი სრული ინტეგრირება ქვეყნის უსაფრთხოების დაგეგმვის პროცესში (უსაფრთხოების სტრატეგიის და უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრისას). აღნიშნული, ბუნებრივია, გულისხმობს გარკვევას, თუ რა უწყებათშორისი (ინსტიტუციური)

მექანიზმები არსებობს და რამდენად ეფექტიანად ხდება მათი გამოყენება ენერგეტიკის და ენერგოუსაფრთხოების საკითხების ასახვისას ქვეყნის საერთო უსაფრთხოების არქიტექტურაში. საკითხი განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს კრიზისების დროს, როცა ენერგომომარაგება მნიშვნელოვნად იზღუდება და საჭიროა წინმსწრები გეგმების არსებობა ვითარების გამოსასწორებლად.

## ენერგოუსაფრთხოება - ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური გააზრება

ენერგეტიკისა და უსაფრთხოების ცნებების ურთიერთკავშირი ტიპურად და, როგორც წესი, ვლინდება ტერმინში - *ენერგოუსაფრთხოება*. ტრადიციულად, ამ ტერმინის ისტორიული ფესვები ნავთობის მომარაგების უწყვეტობას (საფრანგეთისთვის და დიდი ბრიტანეთისთვის) უკავშირდება ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ხოლო შემდგომ კიდევ უფრო აქტუალური გახდა 1973 წელს არაბული ქვეყნების მიერ (Organisation of Arab Petroleum Countries (OAPEC)) ნავთობის ექსპორტზე დაწესებული ემბარგოს გამო (Energy Charter Secretariat 2015). დროთა განმავლობაში, ენერგომატარებლების უწყვეტი მომარაგების აუცილებლობასთან ერთად, გამოიკვეთა იმ მექანიზმების ერთობლიობა, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა ქვეყნის რთულ ვითარებას ენერგომატარებლების მიწოდების შეწყვეტის ან შეზღუდვის გამო. აღნიშნული მექანიზმებია მომარაგების გზების, წყაროების და მოთხოვნის დივერსიფიკაცია, ენერგომარაგების გაზრდა, მოთხოვნის კონტროლი (ენერგოეფექტანობა) და გავლენა ფასზე (faire pricing - მოსახლეობისთვის ენერგიაზე წვდომის ფინანსური საშუალება) (Energy Charter Secretariat 2015).

მნიშვნელოვანია გეოგრაფიული (გეოპოლიტიკური) ფაქტორის გათვალისწინებაც, რამდენადაც ენერგოუსაფრთხოების თანამედროვე გაგება ობიექტურად ვერ აუვლის გვერდს იმ გარემოებას, თუ სად მდებარეობს ქვეყანა გეოგრაფიულად და რა ტერიტორიულ არეალზე ეწევა ენერგორესურსების ექსპორტს თუ იმპორტს. ცხადია, რომ ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების მიდგომები განსხვავებული იქნება ენერგოუსაფრთხოების პრობლემის მიმართ. მიუხედავად ამისა, ენერგოუსაფრთხოების გეოპოლიტიკური განზომილება მაინც, ძირითადად, არაგანახლებადი (fossil) ენერგომატარებლების მოწოდებაზე აკეთებს აქცენტს და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მარტივად განისაზღვრება როგორც "ენერგომატარებლების საკმარისი მომარაგება მისაღებ ფასებში" (Jones and Dodds 2017). აღნიშნული მიდგომა დამატებით ოთხი კრიტერიუმის დაცვით ზუსტდება - *წვდომა (Availability)*, *სანდობა (Reliability)*, *მდგრადობა (Sustainability)* და *ხელმისაწვდომობა (Affordability)*.



აღნიშნული კრიტერიუმების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ენერგეტიკის გავლენის გამო ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებაზე, დოვლათის განაწილებაზე, საერთაშორისო პოლიტიკაში ძალთა გადალაგებაზე, ეროვნული უსაფრთხოების ბერკეტებზე და, ზოგადად, სოციალურ ტრანსფორმაციაზე. შესაბამისად, ენერგოუსაფრთხოება პირდაპირ განსაზღვრავს დასავლური ტიპის სოციო-ეკონომიკურ განვითარებას და, ზოგადად, უსაფრთხოების ხარისხს (Energy Charter Secretariat 2015). მაგალითისთვის, ელექტრომომარაგების ქსელი არის ნებისმიერი ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის ნაწილი, რომლის მწყობრიდან გამოსვლას ან განადგურებას ფატალური და კასკადური შედეგი ექნება არა მხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობაზე, არამედ მთლიანად ეკონომიკურ და სოციალურ მომავალზე, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ კონფლიქტების, ომების და ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების ფაქტორებსა და მათ გავლენას მომარაგების ანუ ლოგისტიკურ პროცესებზე (Gitelman et al 2023). ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა, ამ გადმოსახედიდან, ენერგეტიკის სფერო დაადგინა ქვეყნის მედეგობის (resilience) ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად და, საომარი თუ სხვა კრიზისების დროს, ენერგოუსაფრთხოება მდგრადი ენერგომომარაგების გაგებით (resilient energy supplies) საკუთარი წევრი-სახელმწიფოების მიმართ შვიდ ბაზისურ მოთხოვნაში შეიყვანა (NATO 2023). რაც შეეხება, ევროკავშირს, მისი მიდგომა ნატოსგან ორგანიზაციული და ფუნქციური განსხვავებულობის გამო, მედეგობასთან ერთად, ძირითადად, ითვალისწინებს ენერგომომარაგების უსაფრთხოების მონიტორინგს და ტრანზიციის ხელშეწყობას როგორც განახლებად ენერგომატარებლებზე, ისე დეცენტრალიზებულ ლოკალურ ენერგობაზრებზე (Wilson and Dobrova 2019).

საერთო ჯამში, ენერგეტიკის თემის, როგორც ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორის უარყოფა შეუძლებელია. ენერგოუსაფრთხოება კარგა ხანია, გასცდა მხოლოდ სტაბილური მომარაგების უზრუნველყოფის კონტექსტს და როგორც 1973 წლის ნავთობემბარგოს, ასევე, რუსული "ენერგომპერიის" პროექტის მაგალითზე, პირდაპირი გაგებით გეოპოლიტიკური, საგარეოპოლიტიკური და უსაფრთხოების ბერკეტის მნიშვნელობა შეიძინა (Proni 2007). საქართველო, ამ თვალსაზრისით, არ წარმოადგენს გამონაკლისს და ენერგეტიკის საკითხების მნიშვნელობა მისთვის, პირდაპირი გაგებით, განისაზღვრება, როგორც ენერგორესურსებით სტაბილური და დივერსიფიცირებული მომარაგებით, ასევე, დიდი გეოპოლიტიკური კონტექსტით, რაც ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ინტერრეგიონალური ენერგო-პროექტების განხორციელებას და უსაფრთხოებას უკავშირდება. 2006 წლის ზამთარში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულმა ენერგოდივერსიამ, 2008 და 2014 წლების რუსეთის სამხედრო აგრესიამ და 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფართომასშტაბიანმა სამხედრო ინტერვენციამ უკრაინაში, კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობა, დაგეგმვის ინსტიტუციური (უწყებრივი და უწყებათშორისი) მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება და ეროვნული

უსაფრთხოების კონტექსტში ენერგეტიკის სფეროს (მისი განვითარების და მედეგობის) სრული ინტეგრირება უსაფრთხოების სტრატეგიულ დაგეგმვაში.

## ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის სისტემა და ენერგეტიკის მნიშვნელობა


ქვეყნის სტაბილური განვითარების პროცესი პრინციპულად დამოკიდებულია ქვეყანაში ეროვნული (სტრატეგიული) დონის დაგეგმვის მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, რომელიც თავისი შინაარსით უწყებათშორისი თანამშრომლობის და კოლაბორაციის პროცესს წარმოადგენს, და რომლის საფუძველზეც იქმნება ეროვნული დონის (სტრატეგიული) გრძელვადიანი დოკუმენტები (კონცეფციები და სტრატეგიები). ამ დოკუმენტებს პარალელურ რეჟიმში მოჰყვება მათი განხორციელების და დროში გაწერილი დეტალური სამოქმედო გეგმები. როგორც "ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია" (რომელიც ჯერ კიდევ 2011 წელს არის შექმნილი და მას შემდეგ არ არის გადახედილი) გვამცნობს, ზემოხსენებულ კოლაბორაციულ პროცესს ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესი (NSR-National Security Review) ჰქვია, რომელიც ახდენს:

*„უსაფრთხოების უზრუნველყოფ ინსტიტუტებს შორის უფრო მჭიდრო კოორდინაციას, უზრუნველყოფს სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტების ურთიერთქმედების ხარისხის გაუმჯობესებას და შესაძლებელს ხდის სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში ჩართული ინსტიტუტების შესაბამისი უწყებრივი სტრატეგიების შემუშავებას“ (MFA 2011).*

კონცეფცია, თავის მხრივ, ეყრდნობა "საფრთხეების შეფასების დოკუმენტს", რომელიც ასევე უწყებათშორისი კოლაბორაციის შედეგია. დოკუმენტი გარკვეული პერიოდის ფარგლებში ახდენს ქვეყნის წინაშე არსებული ყველა ტიპის საფრთხეებისა და რისკების ანალიზს და ადგენს მათი აღბათობისა თუ დამანგრეველობის შესაბამის ხარისხს. ეს კი, ლოგიკურად, იქცევა უსაფრთხოების კონცეფციაში დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად შესაბამისი უწყებებისთვის განვითარების (სტრატეგიების) და სამოქმედო გეგმების შემუშავების საფუძველად (Georgian Herald 2015). ბუნებრივია, რომ უსაფრთხოების მიმოხილვის კოლაბორაციული პროცესი, გარდა იმისა, რომ მკაფიოდ განსაზღვრავს სხვადასხვა პოლიტიკის სფეროში მისაღწევ მიზნებს და არსებული თუ მომავალი პრობლემების გადაჭრის გზებს, მისი აუცილებელი დამახასიათებელი თვისებაა უწყებრივი სტრატეგიების


და სამოქმედო გეგმების სრული თავსებადობა და ურთიერთხელშეწყობა ეროვნული უსაფრთხოებისა და განვითარების მიზნების მისაღწევად (იხ. სქემები ქვემოთ). ამასთან ერთად, სამოქმედო გეგმები არის მეტად კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობა, კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად, კონკრეტულ დროში და მკაფიოდ დადგენილი საშუალებებით, რომელიც სრულდება კონკრეტული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ (Georgian Herald 2015). ერთობლიობაში, სამოქმედო გეგმები პროგრამული სახით და საფინანსო-საბიუჯეტო ფორმატით აისახება საშუალოვადიან საბიუჯეტო პროგრამებში და ქვეყნის ყოველწლიურ ბიუჯეტში უწყებრივი საბიუჯეტო ასიგნებების სახით.

გრაფა 1. საფრთხეების შეფასების პროცესი და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

გრაფა 2. მზადყოფნის/სამოქმედო და განვითარების გეგმები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

უფრო მარტივი ვიზუალიზაციისთვის ზემოთ მოყვანილ მეორე სქემატურ სურათში მოყვანილია ქვეყნის თავდაცვის მიზნებისთვის უწყებების გეგმების (როგორც სამოქმედო ისე განვითარების) ურთიერთთავსებადობის პრინციპი. მაგალითად, საომარი ვითარების დროს მთავარი უწყება ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისათვის გენერალური შტაბია, რომელიც თავდაცვის ძალებს თავდაცვის გეგმის მიხედვით ხელმძღვანელობს. თუმცა, ბუნებრივია, რომ საომარი ვითარების დროს თავდაცვის გეგმაში, ასევე, ინტეგრირებულია თავდაცვის ძალების მხარდასაჭერად სხვა უწყებების მიერ საკუთარი კომპეტენციის სფეროებში განსახორციელებელი ნაბიჯები (იგივე გეგმები), რაც საგრძნობლად ზრდის თავდაცვის ეფექტიანობას. ამასთან ერთად, თუ თავდაცვის სამინისტროს მიერ თავდაცვის ძალების განვითარებისთვის (გარკვეული პერიოდისთვის, 5 ან 10 წელიწადში) შემუშავდა და დამტკიცდა "ეროვნული სამხედრო სტრატეგიის" დოკუმენტი, რომელიც ძალების საბრძოლო შესაძლებლობების, სტრუქტურის, რაოდენობის, ინფრასტრუქტურის და სხვა ასპექტების განვითარებას ადგენს, მასთან და მის სამოქმედო გეგმასთან უნდა მოხდეს სხვა უწყებების სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების დაკავშირება და თავსებადობის მიღწევა. კიდევ უფრო კონკრეტული მაგალითის სახით, თუ ქვეყნის თავდაცვის გეგმა ითვალისწინებს მტრის მიერ იზოლირებულ ოპერატიულ რაიონებში ავტონომიურად თავდაცვითი

ოპერაციების წარმოებას 6 თვის განმავლობაში, აღნიშნული ამოცანა პირდაპირ მიუთითებს ენერგეტიკის სფეროში საომარი ვითარების დროს ენერგეტიკის მომარაგების შეწყვეტისა და ერთიანი ქსელის მორღვევის პირობებში დადგენილ ოპერატიულ რაიონებში წინმსწრებად მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობაზე შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის და მარაგების შესაძენად, რათა მოხდეს სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების შენარჩუნება. ბუნებრივია, მსგავსი მოთხოვნები სხვა უწყებების მიმართაც წარმოიშობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის უსაფრთხოება (თავდაცვა) და ეკონომიკურ-სოციალური განვითარება უმთავრესი ეროვნული ინტერესების კატეგორიას განეკუთვნება, ენერგეტიკის სფეროს ამ ინტერესების მიღწევაში სამართლიანად გადაწყვეტი როლი ენიჭება. ასე მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის კონტექსტში ენერგეტიკული უსაფრთხოება პოლიტიკის სფეროდ არის იდენტიფიცირებული და მას ევალუა ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის თავდაცვის მიზნებთან თავსებადობაში მოყვანა და მატერიალური რეზერვების შექმნა; ხოლო სოციო-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად დავალებულია ენერგეტიკული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა და შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავება (Georgian Herald 2015). ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თავის მხრივ, მოითხოვს ენერგორესურსებისა და მათი მომწოდებლების შემდგომ დივერსიფიკაციას, ასევე, ადგილობრივი ჰიდრორესურსების მაქსიმალურ ათვისებას ენერგო-ექსპორტიორად ქვეყნის მიზნით (MFA 2011). გამომდინარე იქიდან რომ ენერგეტიკის დარგში ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის პასუხისმგებელი უწყება დარგობრივი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განხორციელებისთვის, ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნები მას შემდეგნაირად აქვს ფორმულირებული (MESD n.d.a):

- **ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება**, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერჯის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით.
- **ენერგეტიკის დარგის განვითარების** ერთიანი, გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბება დარგის განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიების, მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული პროგრამების შემუშავება.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის მიზანი ვერ იქნება სტრატეგიის (მით უფრო მოკლევადიანი) თუ გეგმის შემუშავება, რადგანაც სტრატეგიაც და გეგმაც პოლიტიკის მიზნის მიღწევის გზებისა და საშუალებების აღმნიშვნელი დოკუმენტებია. ხოლო "ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესების" ზოგადი ფორმულირება ერთი მხრივ, ვერ გამოხატავს კონკრეტულ მიზანს კონკრეტული დროის პერიოდში (რადგანაც სტაბილური და უწყვეტი ენერგომომარაგება მუდმივი მოთხოვნილებაა) და, მეორე მხრივ, ვერც საჭირო კონკრეტიკას იძლევა ეკონომიკური თუ უსაფრთხოების/თავდაცვის გეგმების მხარდაჭერის

შესახებ. ამავე დროს, სამინისტროს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ფუნქციების ფორმულირება ერთგვარ ბუნდოვანებას ტოვებს. მაგალითად, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების და განხორციელების მონიტორინგის ნაცვლად წერია:

*"...სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მეთოდოლოგიის შემუშავება/განახლება და დანერგვა....დაგეგმვის, გეგმების ოპონირებისა და გეგმების ხარისხის გაუმჯობესების პროცესების ორგანიზება...გეგმების აღსრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მეთოდოლოგიის შემუშავება/დანერგვა...გეგმების ყოველკვარტალური და ყოველწლიური მონიტორინგი, მონიტორინგის ანგარიშების მომზადება" (MESD n.d.b)*

კონკრეტიკის ნაკლებობა ან არარსებობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია და, ამავე დროს, მიანიშნებს უწყებების მხრიდან ინსტიტუციური თანამშრომლობის შინაარსობრივი გაზიარების ნაკლებობასა და მიზნების ტექნიკური, ფორმალური აგრეგაციის პრაქტიკაზე. მაგალითად, საგარეო უწყების 2019-2022 წლის სტრატეგიაც კონკრეტიკის გარეშე, მხოლოდ ერთი ზოგადი პასაჟით აღნიშნავს ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობის აუცილებლობას (MFA 2019). სტრატეგიული დაგეგმვის პროდუქტად შეიძლება მივიჩნიოთ მთავრობის მიერ მიღებული "ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია", რომელიც 2022 წელს დამტკიცდა და 213 გვერდზე მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების კონკრეტულ და გაზომვად მიზნებს ყველა სფეროში. სხვა სფეროებს რომ არ შევეხოთ, არც ამ დოკუმენტის შესაბამის ნაწილში, სადაც ენერგეტიკის განვითარებაზეა საუბარი, არ ჩანს, ერთი მხრივ, მიზნობრივად რა კონკრეტულ ეკონომიკურ პროექტებზე, ინფრასტრუქტურაზე თუ სატრანსპორტო ობიექტების განხორციელებაზეა მიბმული ენერგეტიკის სფეროს განვითარება (ანუ რა კონკრეტულ მიზნებზე გადის), და არც ის ჩანს თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს ენერგეტიკა კრიზისების და საომარი ვითარების დროს საკუთარი (ანუ ქვეყნის) მედეგობის გასაზრდელად, მით უფრო 2022 წლის რუსეთის აგრესიის ფონზე (Georgian Herald 2022).

## ენერგეტიკა და ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვა კრიზისული ვითარების დროს

უსაფრთხოების სისტემის სტრატეგიული დაგეგმვა და მასში ქვეყნის ფუნქციონირების სასიცოცხლო სფეროების (განსაკუთრებით, ენერგეტიკის) ინტეგრირების მნიშვნელობა განსაკუთრებით იჩენს თავს კრიზისების ან საომარი ვითარების დადგომის დროს. *"By failing*

*to prepare you are preparing to fail* - Benjamin Franklin" არის სწორედ ის, რაც ხდება კრიზისული ვითარებისთვის დაგეგმვისა და მომზადების არარსებობის ან ნაკლებობის დროს. უკრაინის მაგალითი რუსეთის ფართომასშტაბიანი თავდასხმის ფონზე მკაფიო მაგალითია ეროვნული უსაფრთხოების და განსაკუთრებით ენერგეტიკული სისტემის მედეგობის აუცილებლობის, მათ შორის, უკიდურესად უარყოფითი სცენარის პირობებში, როცა სისტემაზე მასიური სამხედრო შეტევა ხორციელდება. სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა ერთი ორად გაიზარდა, რადგან ასეთ კრიზისულ ვითარებაში წარმოუდგენელია ყველა კრიტიკული ობიექტის თუ კვანძის დაცვა ფიზიკური განადგურებისგან. ამავ დროს, სისტემამ უნდა მოახერხოს მომარაგების გზების და ქსელების კონფიგურაციის შეცვლა, მომსახურების გაგრძელება და მნიშვნელოვანწილად დეცენტრალიზებული და ლოკალური ენერგომომარაგების პოტენციალის გაზრდა (Jermalavičius et al. 2023).

ენერგოსისტემისთვის საომარი ვითარების დროს წარმოქმნილ სტრესულ რეჟიმს და მასობრივი ზიანის კომპენსირების მასშტაბს კარგად წარმოაჩენს USAID-ის მიერ 2022 თებერვლის შემდეგ უკრაინისთვის გაწეული დახმარება. ასე მაგალითად შემუშავდა ევროპის ელექტროენერჯის და გაზის ქსელებთან ინტეგრირების მოდელები, მიწოდების ანალიზი, ნაკლებად ხარჯიანი სცენარები, ქსელის გრძელვადიანი დაგეგმვა, რის პარალელურადაც ხორციელდებოდა გადაცემების ქსელების სინქრონიზაციის და იზოლირებული რეჟიმის მოდელირება ტექნიკური დახმარების გაწევით, ტურბო-გენერატორების გატესტვით და დამხმარე სერვისების შექმნით (USAID 2023). აღნიშნული, დიდწილად, სისტემების მოდელირების და გატესტვის ღონისძიებებს შეიცავდა, ხოლო საკუთრივ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას რაც შეეხება, მისი სია მეტად შთამბეჭდავია. მხოლოდ სკოლებისთვის, საავადმყოფოებისთვის და სხვა საჯარო ობიექტებისთვის უკრაინას მიეწოდა 3600 ერთეული გენერატორი; 60 ექსკავატორი და 80 კმ-ზე მეტი საერთო სიგრძის მილები გასათბობი სისტემის შესაკეთებლად; 28 მეგავატიანი მობილური ელექტროსადგური საჭიროებისამებრ ასიათასიანი დასახლებისთვის სტაბილური ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად; 360-ზე მეტი გასათბობი კარავი დროებითი თავშესაფრის მისაღებად. ცხადია, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ საერთო მოთხოვნილების, რაც უკრაინას საომარი ვითარების დროს გაუჩნდა და რომლის სწრაფი მიღების დაგვიანების ან ჩავარდნის შემთხვევაში, სულ სხვა რეალობა დადგებოდა მის ტერიტორიაზე. შესაბამისად, წინმსწრებად ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში უნდა იყოს ჩადებული მედეგობის მაღალი ხარისხი, რასაც მულტიპლიკატორის ეფექტი აქვს და გაცილებით ზრდის თუნდაც სამხედრო წინააღმდეგობის ეფექტს ქვეყანაზე თავდასხმის პირობებში (რომ აღარ ვისაუბროთ მოსახლეობის მორალურ და ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე).


უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირებაში ენერგეტიკის როლის ზრდა და მისი კიდევ უფრო მეტად გათვალისწინება სტრატეგიული დაგეგმვის დროს (ყველა ეტაპზე!) აისახა როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (NATO), ასევე, ევროკავშირის სტრატეგიულ

მიდგომებში. მაგალითად, NATO-მ სამი პრიორიტეტული მიმართულება გამოყო, რომელთა მიხედვით: 1 - მუდმივად უნდა მოხდეს ენერგეტიკის განვითარების გავლენის ასახვა უსაფრთხოებაზე, 2 - უნდა მოხდეს ენერგეტიკის კრიტიკული ინფრასტრუქტურის, მათ შორის ტანკერების და სანაპირო ობიექტების დაცვის გაზრდა, და 3 - ენერგოეფექტიანობის გაზრდა შეიარაღებულ ძალებში, ენერჯის მოხმარების კლებით (Valášek 2019). რაც შეეხება, ევროკავშირს, დაგეგმილი ღონისძიებები, ძირითადად, გულისხმობს გადაწყვეტილებების უფრო მჭიდრო კოორდინაციას ქვეყნებს შორის ენერგეტიკის საკითხებზე ერთმანეთში და მეზობელ ქვეყნებთან სოლიდარული მოქმედების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, კრიზისების დროს (European Commission 2022). მიუხედავად ჯერ კიდევ 2014 წლიდან გაკეთებული დასკვნებისა, ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯები საკმაო კრიტიკას იმსახურებდა, განსაკუთრებით, სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობის გამო. ასე მაგალითად, ორი წამყვანი ანალიტიკური ორგანიზაციის (GLOBSEC და Clingendael) მიერ მომზადებულ ანგარიშში ჩვენ ვკითხულობთ, რომ ევროკავშირი უნდა მოემზავს რეაქციულ მიდგომას საგანგებო ვითარების დროს და გადავიდეს გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვაზე საკუთარი მედეგობის გასაძლიერებლად; და აღნიშნული უნდა შეიცავდეს ნებისმიერი ენერგოპროექტის და ხელშეკრულების დადების დროს უსაფრთხოების შედეგების ფართო ანალიზს, რისკების სცენარების შეფასებას და მათი მოგვარების მოქმედების დაგეგმვას (Gretti et al. 2022).

ნათელია, რომ სტრატეგიულ დაგეგმვას ომისა და კრიზისების სცენარებისთვის ალტერნატივა არ გააჩნია, მით უფრო მცირე ზომის და რესურსების ნაკლებობით გამორჩეული ქვეყნისთვის, როგორცაა საქართველო (რეაგირების ზოგადი სქემა იხ. ქვემოთ). ამაზევე მიუთითებს ორგანიზაცია "მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის" (WEG) გაკეთებული რეკომენდაცია, რომლის მიხედვით აუცილებელია, უსაფრთხოების სისტემის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ენერგეტიკის სფეროს სიღრმისეული ანალიზი, სტრატეგიული გეგმის (ენერგეტიკული სტრატეგია) ჩამოყალიბება და განხორციელება, რასაც პოლიტიკური ნება სჭირდება (BMG 2019).



გრაფა: 3. რეაგირება სამხედრო და არასამხედრო კრიზისების დროს



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ბუნებრივია, აღნიშნული გულისხმობს კომპლექსური ნაბიჯების გატარებას, კონკრეტულად კი უნდა (Jermalavičius et al. 2023):

- შემუშავდეს კონკრეტული გეგმები კრიზისული სცენარების დროს მდგრადი ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად.
- მომზადდეს ორგანიზაციული სტრუქტურა და პერსონალი.
- მოხდეს შესაბამისი მატერიალური რესურსის აკუმულირება.
- შემუშავდეს და დამტკიცდეს ეროვნული (ენერგეტიკული) მედეგობის გეგმა, რომელიც (მათ შორის სამართლებრივი აქტების მეშვეობით) დაარეგულირებს ენერგობაზრის აქტორების მოქმედებას კრიზისების და საომარი ვითარების დროს.
- შემუშავდეს, და მუდმივად იტესტებოდეს ურთიერთქმედების და კომუნიკაციის მექანიზმები კრიზისებზე რეაგირების და მატერიალური რესურსების გამოყენებისთვის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება-განადგურების დროს.

ცხადია, აღნიშნული ღონისძიებები და, პირველ რიგში, ეროვნული ენერგეტიკული მედეგობის გეგმა და კრიზისებზე რეაგირების გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების (გრძელვადიანი) სტრატეგიული ხედვის და სტრატეგიული დაგეგმვის შედეგად დადგენილი კონკრეტული მიზნების შინაარსს. სამწუხაროდ, საქართველოს სერიოზული პრობლემები გააჩნია ამ თვალსაზრისით, როგორც საკუთრივ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის არსებობის, ასევე, ამ პროცესში მონაწილე სტრუქტურებს შორის ურთიერთობის და კოორდინაციის კუთხით. ეჭვგარეშეა, რომ ეროვნული დონის კრიზისების, და, მით უფრო, საომარი ვითარების დროს სახელმწიფოს რეაგირების მართვა და უწყებების კოორდინაცია უნდა ხდებოდეს უწყებათშორის ფორმატში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში, რაც მოიაზრებს ეროვნული უშიშროების/უსაფრთხოების საბჭოს, მათ შორის, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მასშტაბური კრიზისების კომპლექსური ხასიათი და მათზე ყოვლისმომცველი რეაგირების აუცილებლობა გამორიცხავს ერთი კონკრეტული უწყების დომინირებას როგორც ეროვნული სტრატეგიის (პოლიტიკის) ფორმირების, ისე მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს. შესაბამისად, საქართველოში ასეთ ორგანოდ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო გვევლინება, რომლის პრეროგატივაა კანონის მიხედვით ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინირება, განხორციელების მონიტორინგი და, ასევე, კრიზისული სიტუაციების მართვა (Georgian Herald 2017).

ამის ფონზე, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის განმარტებისას, რაც თავისი შინაარსით იგივე კრიზისების მართვას გულისხმობს, ჩვენ ვხედავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალსახა მონოპოლიას მათ შორის ეროვნული (სტრატეგიული) პოლიტიკების განსაზღვრის და განხორციელების დროს. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ შედგენილი "კრიზისების მართვის სისტემა"-ის სახელმძღვანელო ცალსახად მიუთითებს ეროვნული დონის პოლიტიკების კოორდინაციის და კრიზისების მართვაში საბჭოს (მართვის ეროვნული ცენტრი) პრეროგატივაზე, შსს-ს დაქვემდებარებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულება მკაფიოდ აღნიშნავს, რომ (Georgian Herald 2017):

*"...კოორდინაციას უწევს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ფუნქციონირებას, პასუხისმგებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე..."*

და მის პრეროგატივაში ასევე შედის:

*"...სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფისა და ეროვნული სისტემის განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება და მინისტრისა და ეროვნული სისტემის სხვა სუბიექტებისთვის წარდგენა..."*

*"...კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული სისტემის მონაწილე სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტებიდან გამომდინარე უწყებრივი კონცეპტუალური დოკუმენტებისა და უწყებრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია."*

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო აღიარებს შსს-ს მთავარ როლს კრიზისებზე რეაგირებისას და მას "ძირითად საოპერაციო ძალა"-დ მოიხსენიებს, აშკარაა, რომ საოპერაციო ძალა და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეული ვერ იქნება ეროვნულ დონეზე სტრატეგიის და პოლიტიკების ფორმირების თუ განხორციელების მკოორდინირებელი ერთეული (NSC 2023). კრიზისული ვითარების მართვის მექანიზმების დონეებშიც არსებობს ერთგვარი გაურკვეველობა. ასე, თუ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო სამდონიანი (სტრატეგიული, ოპერაციული და ტაქტიკური) რეაგირების და მართვის სისტემას განიხილავს, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მიხედვით დადგენილია ოთხდონიანი სისტემა (ეროვნული, ავტონომიური, სამხარეო და ადგილობრივი) (NSC 2023). ამავე გეგმაში, ასევე, არაფერი წერია ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მართვის ცენტრთან ურთიერთობაზე კრიზისების დროს ენერგეტიკული გამოწვევების დასაძლევად (განსხვავებით შსს-ში საგანგებო ოპერატიულ ცენტრში და საველე შტაბებში პასუხისმგებელი პირების მივლინებისგან) (Georgian Herald 2015b). მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის სფეროში ეკონომიკის სამინისტროს კრიზისული ვითარების მართვის 2-დონიანი მოდელი აქვს შემუშავებული და საკმაოდ ეფექტიანად რეაგირებს კიდევ საგანგებო ვითარებაზე ენერგეტიკული უსაფრთხოების უწყებათმორისი ჯგუფის ფარგლებში (მაგ. ელექტროენერჯის სფეროში), უშიშროების საბჭოს და შსს-ს რეაგირების დონეების განსხვავებულობის თუ მათთან თანხვედრის აუცილებლობის გამო, უცნობია მოხდება თუ არა ეროვნული უშიშროების საბჭოს თუ შსს-ს ფორმატის და ინსტრუმენტების გამოყენება ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაცილებით მასშტაბური (ეროვნული) დონის კრიზისზე რეაგირებისას. ამას თუ დავუმატებთ რეგიონების და ადგილობრივი თვითმმართველობების (მუნიციპალიტეტების) მხარეს არსებულ უზარმაზარ დეფიციტს არა მხოლოდ კრიზისულ ვითარებებზე რეაგირების, არამედ, ზოგადად, დაგეგმვის და სტრატეგიული ანალიზის უნარის კონტექსტში, ადვილი წარმოსადგენია იმ პრობლემის სიმწვავე, რასაც ადგილობრივ დონეზე კრიზისებზე ერთობლივი და კოორდინირებული რეაგირების და ეფექტიანი მართვის უნარი ჰქვია. ამას თავად მთავრობაც აღიარებს და დახმარებასაც ჰპირდება, განსაკუთრებით (Georgian Herald 2017):

*"...ეროვნულ დონეზე ინტეგრირებული ადგილობრივი რისკების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის დანერგვაში და კატასტროფის რისკის შემცირების ადგილობრივი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში."*

ბუნებრივია, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობების (ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსის) და გრძელვადიანი რეგიონული განვითარების გეგმების (სტრატეგიების) არარსებობის პირობებში, როგორც მინიმუმ, ნაკლებად მოსალოდნელია, ახლო მომავალში თვითმმართველობებისგან ეროვნულ სტრატეგიებთან და გეგმებთან თავსებადი ადგილობრივი სტრატეგიების და გეგმების წარდგენა, რა სრულყოფილი მეთოდოლოგიის დანერგვაც არ უნდა მოინდომოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

ზოგადად, ქართულ რეალობაში სტრატეგიულ დაგეგმვას, მათ შორის, ენერგეტიკის საკითხებთან მიმართებით, აკლია არა მხოლოდ საკუთრივ გრძელვადიანი, ჭეშმარიტად უწყებათმორისი და კარგად კოორდინირებადი პროცესის, არამედ კონკრეტული მიზნების და მკაფიო სამიზნე მაჩვენებლების არსებობა, რაც სამოქმედო გეგმების შედგენას და განხორციელებას საგრძნობლად გააადვილებდა. მიზეზი შეიძლება ვეძიოთ პასუხისმგებლობის აღების სურვილის ნაკლებობაში, რადგანაც, რაც უფრო მკაფიოდ არის დადგენილი სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმის მიზანი, მით უფრო მკაფიოდ იკვეთება პასუხისმგებლობა მიზნების არ/ვერმიღწევის შემთხვევაში.

დასავლური პრაქტიკა გაცილებით რაციონალური და ფოკუსირებულია კონკრეტული სამიზნე ნიშნულების მიღწევაზე. ასე მაგალითად, ბრიტანეთის ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც 10-პუნქტიან გეგმას ემყარება, მრავალ მონაცემებთან და 2025-2023-2050 წლების სამიზნე მაჩვენებლებთან ერთად, მოიცავს 1678 უემისიო ავტობუსის და 60 ათასი თბური ტუმბოს (heat pumps) შექმნას ოჯახებისთვის 5000 ფუნტის დახმარების გათვალისწინებით (HM Government 2022). მსგავსი კონკრეტული სფეროების მიხედვით, ასევე, მოიპოვება ირლანდიის "ენერგეტიკული უსაფრთხოების ჩარჩო"-ს დოკუმენტში (Government of Ireland 2022). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების სამხედრო განზომილებადა, კერძოდ, სამხედრო კონფრონტაციის მაღალი ალბათობა კიდევ უფრო მეტად ზრდის ენერგეტიკული სფეროს სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ისეთ ქვეყნებზეც კი რომელთა გიგანტური სამხედრო პოტენციალი ეჭვებს არ იწვევს (აშშ და ევროკავშირი) (FES 2023).

უნდა აღინიშნოს, რომ სირთულეების მიუხედავად, შეიმჩნევა დადებითი პროცესი ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული დოკუმენტების მიერ პრიორიტეტების სწორი განსაზღვრის და სავარაუდო ნაბიჯების გასაზღვრის კუთხით. ასე მაგალითად, მიუხედავად საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის 2020-2030 ერთგვარი გაურკვეველი სტატუსისა, მასში მეტად ზუსტად და დეტალურად არის იდენტიფიცირებული ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და საფრთხეები. ამ ჩამონათვალში სტანდარტული იმპორტისა და

მიწოდების მდგრადობის და დივერსიფიკაციის პრობლემებთან ერთად, ხაზგასმულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომავალი საფრთხეები, როგორცაა ენერგეტიკული ობიექტების ფიზიკური უსაფრთხოება და დაკარგვის საშიშროება ისევე, როგორც თავად ოკუპირებული რეგიონების ელექტროენერჯით მომარაგების პროცესის პრობლემატურობა. ცალკე მზარდ გამოწვევებად რჩება კიბერშეტევების მაღალი ალბათობა, სტრატეგიული მარაგების სიმცირე, კრიპტონინფრასტრუქტურის მაღალი ენერგომომხმარება და ქვეყნის ელექტროსისტემის თავისებურება, რაც გულისხმობს ელექტროენერჯის გენერაციას, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში, ხოლო მოხმარებას აღმოსავლეთში (თბილისის გამო), რაც განსაკუთრებით ზრდის სისტემის მოწყვლადობას. ამავე დოკუმენტში შესანიშნავად არის გაანალიზებული ტენდენციები ენერგეტიკის ცალკეულ სფეროში, თუმცა კვლავინდებურად ნაკლოვანებად რჩება კონკრეტული დაგეგმილი ნაბიჯების და დამტკიცებული გეგმების სიმცირე, რაც დროის კონკრეტულ პერიოდში კონკრეტული საფრთხის/რისკის მინიმინიზაცია-განეიტრალების ნიშნულს ნათლად წარმოაჩენდა.


კიდევ უფრო დეტალური სურათია წარმოჩენილი საქართველოს "ენერჯის და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში" (NECP-საბოლოო პროექტი) (MESD 2023). დოკუმენტი სრულად ითვალისწინებს ევროკავშირის მიერ აღიარებულ მიდგომას და ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის წევრების წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს ენერგეტიკის სფეროს ანალიზის, პროგნოზირების და სტანდარტების გამოყენების კუთხით. ენერგოუსაფრთხოების გამოწვევების მკაფიო 10-წლიანი პროგნოზირების მიზნით გამოყენებულია TIMES-მოდელი (The Integrated MARKAL-EFOM System), რომელიც ენერგეტიკის სფეროში გრძელვადიანი სცენარების მკაფიო დადგენას ემსახურება და კონკრეტულ სექტორებში არსებული დეტალური ინფორმაციის შეგროვება ანალიზს ითვალისწინებს. NECP-ის საბოლოო პროექტი შესანიშნავი დოკუმენტია, რომელიც, პრაქტიკულად, ამომწურავ ინფორმაციას იძლევა იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ემსახურება ენერჯის წყაროების და მიწოდების დივერსიფიკაციის და მდგრადობის უზრუნველყოფას, ისევე, როგორც შიდა ინფრასტრუქტურის განახლებას. თუმცა ცალსახაა, რომ აღნიშნული პროგნოზები და გეგმები ეყრდნობა ქვეყნის მხოლოდ მშვიდობიანი (ეკონომიკური) განვითარების პერსპექტივის სცენარს და არ ითვალისწინებს იმ სცენარებს, რომლებიც მასშტაბურ კრიზისებს მოიცავს (მაგ. ბუნებრივს ან ომს), რომელთა დადგომის შემთხვევაში, ენერგომომარაგების რადიკალური შეზღუდვა გაცილებით აღემატება დოკუმენტში განსაზღვრულ 20%-იან ზღვარს. მიუხედავად იმისა, რომ ამავე დოკუმენტში ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროს მიზნებად მითითებულია არაერთი საკითხი, რომელთა მოგვარება ოკუპაციის საფრთხეს პირდაპირ უკავშირდება (მაგ. ობიექტების უსაფრთხოება ოკუპაციის ზონებთან სიახლოვის გამო, ენერჯის უზომო მოხმარება, და ენერგეტიკის სისტემის მედეგობა, მოქნილობა, მათ შორის სტრატეგიული მარაგების სახით), სამხედრო კონფრონტაციის (ომის) განახლება და მისგან გამოწვეული ენერგოსექტორის სავარაუდო მასშტაბური კრიზისის დეტალები საერთოდ არ არის გაანალიზებული.

მნიშვნელოვანია, რომ გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა გაზის ინფრასტრუქტურის განახლებას და განსაზღვრულია რიგი ნაბიჯებისა 2030 წლამდე, რათა მოხდეს რადიალური გაზომომარაგების სისტემის შეცვლა ერთმანეთთან დაკავშირებული წრიული მომარაგების სისტემით (2023 წლის ბოლოსთვის, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული). აღნიშნული მიდგომა საგრძნობლად ზრდის გაზომომარაგების მედეგობას და ავტონომიურად ფუნქციონირების უნარს კონკრეტული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში. თუმცა ამავე კონტექსტში არ იკვეთება სტრატეგიული გაზსაცავების შექმნის მიზნით კონკრეტული დაგეგმილი ნაბიჯები, რომლებიც ზემოთნახსენებ უდავოდ მნიშვნელოვან ზომებთან ერთად ერთიორად გაზრდიდა ქვეყნის გაზით სტაბილური უზრუნველყოფის ხარისხ მათ შორის დიდი მასშტაბის კრიზის დროს. ზოგადად, ინტეგრირებული გეგმა, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა, ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების კონტექსტში, რაც, ერთი მხრივ, ინსტიტუციურად ძალიან გვაახლოვებს ევროკავშირის ენერგობაზართან და სტანდარტებთან, ხოლო, მეორე მხრივ, მეტად ღირებულ მექანიზმს ქმნის ენერგოსექტორში გრძელვადიანი დაგეგმვის განხორციელების და მიზნების დადგენა-მიღწევის კუთხით.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ენერგეტიკული სტრატეგიის არსებობა პრინციპულად დამოკიდებულია ქვეყანაში სტრატეგიული (ეროვნული) დაგეგმვის გამართული ერთიანი მექანიზმის არსებობაზე. აღნიშნული მექანიზმის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად განაპირობებს როგორც დარგობრივი სტრატეგიების და პოლიტიკების (სამოქმედო გეგმების) ურთიერთ-თავსებადობას და კოორდინაციას, ისე შესაბამისი რეაგირების გეგმების/მექანიზმების გაჩენას ცენტრალურ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე. დღემდე არსებული პრაქტიკა წარმოადგენს სტრატეგიების სახით ზოგადი ფორმულირების, ასევე, ეროვნული სამოქმედო გეგმების სახით, დიდწილად, ტექნიკურად აგრეგირებული ღონისძიებების წარდგენას (მაგ. კატასტროფების შემცირების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა) (Georgian Herald 2017). საკუთრივ არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში, მაგალითად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ გეგმაში, ენერგეტიკის სფერო უნდა გასცდეს მხოლოდ ფუნქციის (ფუნქცია-9 ენერგომომარაგება) დონეს და უნდა იქნას აყვანილი ეროვნული გეგმის ღონისძიებათა რეგულირების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებამდე (Georgian Herald 2015b). თუმცა რეალურად ეფექტიანი ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება ვერ მოხდება, თუ მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაიდგა ერთი მხრივ, საქართველოში ზოგადად ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის გასაუმჯობესებლად, ხოლო, მეორე მხრივ, არ მოხდა ამ პროცესის დასაწყისშივე ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების ინტეგრირება თემატურად და ინსტიტუციურადაც (გრაფა 4).

გრაფა 4. ენერგეტიკის ადგილი სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის კონტექსტში დადგენილი ეკონომიკური, თავდაცვის და სხვა განვითარების (სტრატეგიული) მიზნებისა და გეგმების კონტექსტში უნდა მოხდეს ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება, რამეთუ სწორედ ენერგეტიკაზეა დიდწილად დამოკიდებული როგორც ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარება, ისე ელემენტარული გადარჩენის შანსები მასშტაბური კრიზისების თუ სამხედრო აგრესიის დროს. შესაბამისად, იქნება ეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, რეგიონული თუ მუნიციპალური განვითარების სტრატეგია და გეგმა, დაგეგმვის დასაწყისშივე მათი ინტეგრალური ნაწილი ხდება ენერგეტიკული სფეროს დარგობრივი სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც ლოგიკურად ქვედა დონეებზე რეგიონული თუ მუნიციპალური განვითარების გეგმების მოთხოვნების შესაბამისად ენერგეტიკული კომპონენტების განვითარების გეგმებსაც შეიცავს. აღნიშნული განაწილება და სტრატეგიებსა თუ გეგმებში მიზნების (იგივე სამიზნე მაჩვენებლის) მკაფიო ფორმულირება გაცილებით აიოლებს

სამოქმედო ღონისძიებების, პერსონალის და ფინანსური თუ მატერიალური რესურსების ორგანიზებას. ეს კი საგრძნობლად აუმჯობესებს კრიზისების დროს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე მზადყოფნისა და რეაგირების ხარისხს.

შესაბამისად, გარდა ზემოხსენებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, ენერგოუსაფრთხოების სწორი და ეფექტიანი დაგეგმვა- განხორციელებისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- **ენერგეტიკის სექტორში რეგიონული და გლობალური პროცესების მუდმივი მონიტორინგი, ტექნოლოგიური ასპექტების გაანალიზება და საქართველოსთვის სავარაუდო შედეგების გათვლა.** მიუხედავად იმისა რომ, ენერგეტიკული უსაფრთხოება და მედეგობა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ მიმართულებით სახელმწიფო უწყებრივი კოორდინაცია საგრძნობ გაუმჯობესებას მოითხოვს. ეს პირველ რიგში, სწორედ ენერგოსექტორის მონიტორინგისა და ანალიზის შედეგების პერიოდულ გაზიარებას (სამინისტროს პერიოდული ანალიტიკური მიმოხილვა) და შესაბამისი პოზიციების შემუშავებას გულისხმობს უწყებათშორის ფორმატში. აღნიშნული მიმოხილვა მნიშვნელოვან დანაკლისს ავსებს ამ თვალსაზრისით და რიგ უპირატესობას იძლევა. გარდა იმისა, რომ მისი მეშვეობით ენერგოუსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი ტენდენციების და გარემოებების დაფიქსირება მოხდება, ის მეტად კარგ ანალიტიკურ საფუძველს იძლევა უწყებათშორის ფორმატში (მაგ. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში) ენერგეტიკის სფეროსთვის ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისთვის, და კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილების სრულფასოვანი მომზადებისთვის.
- **ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გამოყენება ძირითად პლატფორმად სამუშაო ანალიტიკური პროცესის ორგანიზებისთვის** ჰორიზონტალური თანამშრომლობის კონტექსტში (რელევანტური უწყებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის), და ასევე უწყებებს შორის უმაღლეს ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების ან ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის თუ სამოქმედო გეგმის მისაღებად.
- **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის სამინისტროში შემუშავებული ენერგეტიკის სფეროს რეგულარული ანალიტიკური მიმოხილვების და დასკვნების გაზიარება** საგარეო საქმეთა, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან (მათ რელევანტურ სტრუქტურულ ერთეულებთან), მით უფრო ენერგეტიკული უსაფრთხოების ანალიზის დასკვნების ინტეგრირების მიზნით საფრთხეების შეფასების და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტების ფარგლებში.
- **ენერგოსექტორში ჩართული მნიშვნელოვანი სხვა აქტორების აქტიური ჩართვა ენერგოპოლიტიკის და ენერგოუსაფრთხოების შემუშავებაში და ეფექტურ გატარებაში.** აქ განსაკუთრებით იკვეთება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (GNERC), საქართველოს სახელმწიფო



ელექტროსისტემის (GSE), საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის (GOGC) და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის (GGTC) მნიშვნელობა. როგორც ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მედეგობის, ისე მდგრადი მომარაგების აუცილებლობის ფაქტორებიდან გამომდინარე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, როგორც მინიმუმ ამ ორგანიზაციების სრული ჩართვა ენერგეტიკის სფეროში მომზადებული პერიოდული მიმოხილვის განხილვაში. საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობა ქვეყნის გრძელვადიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ისეთივე აქტიური (თუ მეტი არა) უნდა იყოს როგორც სხვა უწყებების.

## გამოყენებული ლიტერატურა

- BMG 2020. ენერგეტიკული სტრატეგიის არარსებობით ქვეყანა მრავალმილიარდიან სარგებელს კარგავს - WEG. ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/news/energetikuli-strategiis-ararsebobit-qveyana-mravalmiliardian-sargebels-kargavs---weg/61951>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Cretti, Giulia, Akash Ramnath, and Louise van Schaik. 2022. "Transitioning towards Energy Security beyond EU Borders: Why, Where and How?" ხელმისაწვდომია: [https://www.clingendael.org/sites/default/files/2022-10/Policy\\_brief\\_Transitioning\\_towards\\_energy\\_security\\_beyond\\_EU\\_borders.pdf](https://www.clingendael.org/sites/default/files/2022-10/Policy_brief_Transitioning_towards_energy_security_beyond_EU_borders.pdf). ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Energy Charter Secretariat 2015. "International Energy Security: Common Concept for Energy Producing, Consuming and Transit Countries," 28. ხელმისაწვდომია: <https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/CCDECS/CCDEC201409.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- European Commission 2022: "COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL." COM(2022) 745 final. ხელმისაწვდომია: [https://doi.org/10.1163/2210-7975\\_HRD-4679-0058](https://doi.org/10.1163/2210-7975_HRD-4679-0058). ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Energy Security in the United States. United States Congress, CBO, May 2012.
- Georgian Herald 2015a. საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, 3126-III § (2015). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=13>. 27 ნოემბერი, 2023;
- Georgian Herald 2015b. საქართველოს მთავრობის დადგენილება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ, Pub. L. No. 508. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2993918?publication=0>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Georgian Herald 2017. კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2017-2020 წ.წ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=0>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Georgian Herald 2022. "ხედვა 2030: საქართველოს მთავრობის სტრატეგია." თბილისი: საქართველოს მთავრობა, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5604706?publication=0>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Gitelman, Lazar, Elena Magaril, and Mikhail Kozhevnikov 2023. "Energy Security: New Threats and Solutions." *Energies* 16, no. 6: 25. ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.3390/en16062869>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Government of Ireland. 2022. "National Energy Security Framework." ხელმისაწვდომია: <https://www.gov.ie/en/publication/ea9e4-national-energy-security-framework/>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;

- HM Government 2022. “British Energy Security Strategy.” ხელმისაწვდომია:  
<https://www.gov.uk/government/publications/british-energy-security-strategy/british-energy-security-strategy>.  
 ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Jermalavičius, Tomas, Christian Egenhofer, Edoardo Righetti, Arūnas Molis, Priit Mändmaa, Tony Lawrence, and Oleksandr Sukhodolia. “War and Energy Security: Lessons for The Future.” Tallinn, Estonia: ICDS, International Center for Defence and Security, May 2023. <https://icds.ee/en/war-and-energy-security-lessons-for-the-future/>. 27 ნოემბერი, 2023;
- Jones, Owain, and Paul E Dodds 2017. “Chapter 2: Definitions of Energy Security.” In *The Role of Hydrogen and Fuel Cells in Delivering Energy Security for the UK*, 22–24. A H2FCSUPERGEN White Paper. London, 2017.  
<https://www.h2fcsupergen.com/wp-content/uploads/2015/08/IMPJ5213-H2FC-Supergen-Energy-Security-032017-WEB.pdf>.
- MFA 2019. “2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია.” ხელმისაწვდომია:  
[https://mfa.gov.ge/Foreign-Policy-Strategy#Chapter\\_om](https://mfa.gov.ge/Foreign-Policy-Strategy#Chapter_om). ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- MFA 2011. “საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.” თბილისი: საართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, ხელმისაწვდომია: [https://mfa.gov.ge/national-security-concept#mcetoc\\_1gn2cre9pipf](https://mfa.gov.ge/national-security-concept#mcetoc_1gn2cre9pipf).
- MESD n.d.a. “ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი.” ხელმისაწვდომია:  
<https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=63>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- MESD n.d.b. “ცენტრალურიაპარატი.” ხელმისაწვდომია: 27 ნოემბერი, 2023;  
<https://www.economy.ge/?page=departments&dep=65>.
- MESD 2023. “Integrated National Energy and Climate Plan of Georgia,” Draft (Tbilisi: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, July 2023). “Integrated National Energy and Climate Plan of Georgia.” Draft. Tbilisi: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, July 2023. [https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Thematic/International\\_Energy\\_Security\\_2015\\_en.pdf](https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Thematic/International_Energy_Security_2015_en.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023; [https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Thematic/International\\_Energy\\_Security\\_2015\\_en.pdf](https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Thematic/International_Energy_Security_2015_en.pdf).
- NATO 2023. Resilience, Civil Preparedness and Article 3. ხელმისაწვდომია:  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_132722.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_132722.htm). ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- NSC. 2023. “კრიზისების მართვის ეროვნული სისტემა.” უწყებათშორისი სახელმძღვანელო. თბილისი: ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, 2023. <https://nsc.gov.ge/assets/pdf/63ce47e45a0d8.pdf>.
- Pepe, Jacopo Maria. 2022. “Geopolitics and Energy Security in Europe: How Do We Move Forward?.” ხელმისაწვდომია:  
<https://justclimate.fes.de/e/geopolitics-and-energy-security-in-europe>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;
- Proni, Kamila. “Chapter 6: Energy and Security: Regional and Global Dimensions.” In *SIPRI Yearbook 2007: Armaments, Disarmament and International Security*, 216–40. SIPRI; Oxford University Press, 2006. ხელმისაწვდომია:  
<https://sipri.org/yearbook/2007>. ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;

Valášek Tomáš 2019. New Perspectives on Shared Security: NATO's Next 70 Years. Carnegie Endowment for International Peace. ხელმისაწვდომია: <https://carnegieeurope.eu/2019/11/28/new-perspectives-on-shared-security-nato-s-next-70-years-pub-80411> ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;

USAID 2023. "USAID/Ukraine Energy Support." Fact Sheet. ხელმისაწვდომია: [https://www.usaid.gov/sites/default/files/2023-06/Energy%20Assistance\\_USAID%20Ukraine%20Factsheet.pdf](https://www.usaid.gov/sites/default/files/2023-06/Energy%20Assistance_USAID%20Ukraine%20Factsheet.pdf). ბოლოჯერ ნანახია:

Wilson, Alex, and Alina Dobrevá 2019. "Energy Supply and Security." Briefing. EU Policies – Delivering for Citizens. EPRS | European Parliamentary Research Service, ხელმისაწვდომია: [https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/EPRS\\_BRI\(2018\)630275](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/EPRS_BRI(2018)630275) ბოლოჯერ ნანახია: 27 ნოემბერი, 2023;

საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, Pub. L. No. 1061, 13 (2014). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2647504?publication=0>.